# დიალოგური კითხვის განვითარება და მისი გავლენა, კითხვის დროს ბავშვსა და მშობელს შორის ინტერაქციულ პროცესზე

**თამარ აფხაზავა**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ აფხაზავა, 2021 წელი

# აბსტრაქტი


თეორიებისა და ემპირიული კვლევების თანახმად, დიალოგური წიგნის  კითხვის პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვსა და მშობელს შორის პოზიტიური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოიკვლიოს ის პროცესები, რომელიც დიალოგური წიგნის კითხვის დროს ვითარდება ბავშვსა და მშობელს შორის. კერძოდ, ის კომპონენტები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვსა და მშობელს შორის ჩამოაყალიბოს პოზიტიური კომუნიკაცია. ის თუ რა სტრატეგიებს იყენებენ მშობლები, წიგნის კითხვის პროცესში, რომ კითხვა გახდეს სახალისო, ქონდეს დიალოგისა და დისკუსიის ფორმა. საწყის ეტაპზე, ექპერიმენტულ  კვლევაში მონაწილე მშობლებს ვთხოვეთ ჩაეწერათ რამოდენიმე პრე ვიდეო იმისა თუ როგორ უკითხავდნენ ბავშვს წიგნებს. ამის შემდგომ, მოხდა მშობელთა ერთი ნაწილის  (ექსპერიმენტული ჯგუფი) დატრენინგება დიალოგური წიგნის კითხვის სტრატეგიებთან დაკავშირებით. მშობელთა მეორე ნაწილს (საკონტროლო ჯგუფს) არ გაუვლია ტრენინგი/ქოუჩინგი. ითარგნმა და შეიქმნა დიალოგური კითხვის შესაფასებელი კითხვარი, რომელიც აფასებს მშობელი-ბავშის ინტერაქციას, მშობლის ღია კითხვებისა და ბავშვის მხრიდან გამოყენებულ სიტყვათა რაოდენობას.  კველევაში მონაწილე მშობლებს გადავეცით წინასწარ შერჩეული სამ-სამი წიგნი (ტოპო-ტიპი), რომელშიც ტექსტი ნაკლებადაა და ძირითადად გაფორმებულია ილუსტრაციებით.  როგორც ექსპერიმენტულ ასევე, საკონტროლო ჯგუფის მშობლებს უნდა გადაეღოთ წიგნის კითხვის ერთი პრე ვიდეო და სამი კვირის განმავლობაში, კვირაში 4-ჯერ პოსტ ვიდეოები.  მიღებული შედეგების საშუალო ქულები შევადარეთ პრე ვიდეოს მონაცემებს.  კვლევაში გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება პრე ვიდოესა და 3 კვირის განმავლობაში გადაღებულ პოსტ ვიდეოებს შორის. მიღებულმა შედეგებმა გვაჩვენა, რომ წიგნის კითხვის დროს მშობლის მხრიდან დიალოგური წიგნის კითხვის ტექნიკების ცოდნა და მისი გამოყენება აუმჯობესებს ბავშვსა და მაშობელს შორის ინტერაქციის ხარისხს, კითხვა

ხდება დიალოგისა და დისკუსიის ადგილი, იზრდება მშობლის მხრიდან ღია კითხვების და ბავშვის მხრიდან გაშლილი პასუხების რაოდენობა.

**საკვანძო სიტყვები: ადრეული წიგნიერება, დიალოგური წიგნის კითხვა.**

## Abstract

According to theories and empirical studies, the dialogical reading process has significant impact on formation of positive communication between parent and child. The objective of the research is to explore the processes that take place during dialogical book reading between parent and child, in particular, those components that affect formation of positive communication between the child and the parent. What strategies do parents use to make the book reading process more fun and make it in a form of dialogue and discussion. At initial stage, parents who participated in the research were asked to record pre-videos, showing how do they read books to their child. After that, parents were grouped into two, experimental group was instructed on strategies of dialogical book reading, the control group have not taken any instructions/coaching. The dialogical book reading evaluation questionnaire was translated and developed, to assess interaction between parent and child, open-ended questions of parents, and the number of words used by the child. Parents, participating in the research, were handed over three pre-selected books (Topo-Tipi) in which the text is less and is mostly lined with illustrations. Both experimental and control groups were asked to take one pre-video of reading process, and then during following three weeks, for four times a week they were asked to record book reading process. The average scored of the obtained results were compared with pre-video data. The research revealed a statistically significant difference between pre and post videos, that were taken over three weeks. The results showed that knowledge and usage of dialogical book reading techniques by parents improves the quality of interaction between parent and child, reading

becomes a place of dialogue and discussion, number of open questions used by parent and extended responses from child increases.

**Key words: Early Literacy, Dialogical Book Reading**